საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-55/ნ

2022 წლის 5 ივლისი

ქ. თბილისი

,,სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების და ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა ტრანსპორტირებისათვის მინიმალური მოთხოვნების და პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის №01-17/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების და ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა ტრანსპორტირებისათვის მინიმალური მოთხოვნების და პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის №01-17/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 03/04/2012, 470200000.22.035.016135) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) მოტოტრანსპორტით სამედიცინო სერვისის მიწოდებისთვის სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების ნუსხა (დანართი №5);

ვ) მოტოტრანსპორტით სამედიცინო სერვისის მიწოდებისთვის სასწრაფო დახმარების ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხა (დანართი №6).“.

2. ბრძანებით დამტკიცებული „მოტოტრანსპორტით სამედიცინო სერვისის მიწოდებისთვის სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების ნუსხა“ (დანართი №5) და „მოტოტრანსპორტით სამედიცინო სერვისის მიწოდებისთვის სასწრაფო დახმარების ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხა“ (დანართი №6) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ზურაბ აზარაშვილი**